



გალტ & თამარიძე  
გეგმვითი მენეჯერული კომპანია



# ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში

## 2025 წლის შეჯამება

27 იანვარი 2026



**ევა ბოჭორიშვილი**

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | [evabochoreshvili@gt.ge](mailto:evabochoreshvili@gt.ge)

**მარიამ ჩახვაშვილი**

სექტორის უფროსი | [mchakhvashvili@gt.ge](mailto:mchakhvashvili@gt.ge)

**დაჩი მუჯირიშვილი**

უფროსი ანალიტიკოსი | [dmujirishvili@gt.ge](mailto:dmujirishvili@gt.ge)





## ძირითადი ტენდენციები

**მიწოდება:** 2025 წელს ელექტროენერგიის მიწოდებამ 15.4 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 13.8 ტვტ.სთ ადგილობრივი გენერაცია (- 3.0% წ/წ), ხოლო 1.6 ტვტ.სთ (+26.9% წ/წ) იმპორტი იყო. ამასთან, 2025 წელს ოპერირება დაიწყო ექვსმა მზის და ორმა ჰიდრო ელექტროსადგურმა, ჯამური დადგმული სიმძლავრით 22.6 მგვტ. შედეგად, 2025 წლის ბოლოს ქვეყნის დადგმულმა სიმძლავრემ 4.7 გვტ შეადგინა.

**ადგილობრივი მოხმარება:** 2025 წელს ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 3.5%-ით გაიზარდა და 14.3 ტვტ.სთ შეადგინა. ამასთან, განსაკუთრებით მაღალი ტემპით (+9.2% წ/წ) გაიზარდა პირდაპირი მომხმარებლების ელექტროენერგიის მოხმარება.

**ექსპორტი:** 2025 წელს ექსპორტის მოცულობა შემცირდა 0.5 ტვტ.სთ-მდე (-51.2% წ/წ), ხოლო საშუალო საექსპორტო ფასი კვტ.სთ-ზე 4.6 აშშ ცენტამდე (-2.0% წ/წ). შედეგად ექსპორტიდან შემოსავლები განახევრდა 23.5 მლნ. აშშ დოლარამდე.

**სავაჭრო ბალანსი:** 2025 წელს ექსპორტის სეზონი, მაისში დაიწყო და ივლისში დამთავრდა. საქართველო წმინდა იმპორტიორი გახდა 24.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების წმინდა იმპორტით. ამასთან, რაოდენობრივად საქართველო წმინდა იმპორტიორი იყო 1.0 ტვტ.სთ.

**ელექტროენერგიის ფასი საქართველოში:** 2025 წელს საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი წლიურად 4.1%-ით გაიზარდა და 5.8 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში ყველაზე მაღალი წილი კვლავ PPA-იან სადგურებს უჭირავთ. დღით ადრე ბაზარზე ტრანზაქციების რაოდენობა მინიმალური იყო.

**ბაზრის სიახლეები:** სემეკმა განაახლა რეგულირებული კომპანიების ტარიფები, დამტკიცდა ენერგო პროს და თელასის 5-წლიანი საინვესტიციო გეგმები და ახალი საცალო ტარიფის დამტკიცება გადაიდო 3 თვით, 2026 წლის 31 მარტამდე.



# ელექტროენერგიის გენერაცია


**2025 წელს ელექტროენერგიის ადგილობრივი გენერაცია 3.0%-ით შემცირდა და 13.8 ტვტ.სთ შეადგინა.**  
აქედან:

- **ჰიდრო გენერაცია** წლიურად 3.4%-ით შემცირდა 11.0 ტვტ.სთ-მდე. კლება გამოწვეული იყო რეგულირებული სადგურების გენერაციის შემცირებით. ეს კი გამოწვეული იყო დაგეგმილი სარემონტო სამუშაოებით, ჰიდროლოგიური პირობებით და ენგურის რეზერვუარში იანვარში არსებული დაბალი წყლის დონით.
- **თბოგენერაცია** წლიურად 1.6%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ექსპორტის შემცირებით და იმპორტის ზრდით.
- **ქარისა და მზის სადგურების** გენერაციამ მიაღწია 84 გვტ.-ს, რამაც 2025 წლის გენერაციის 0.5% შეადგინა.

2025 წელს ოპერირება დაიწყო ორმა ჰიდრო (ჯამში 11.8 მგვტ) და ექვსმა მზის ელექტროსადგურმა (ჯამში 10.8 მგვტ).

შედეგად, 2025 წლის ბოლოს, საქართველოში ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 4,675 მგვტ-ს მიაღწია, საიდანაც 3,489 მგვტ ჰიდრო, 1,154 მგვტ - თბო, 20.7 მგვტ - ქარის და 10.8 - მზის ელექტროსადგურები იყო.

**გრაფიკი 1: ელექტროენერგიის გენერაცია, ტვტ.სთ**



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

**ცხრილი 1: ელექტროენერგიის გენერაციის დინამიკა, 2025**

| ობიექტები                | წლიური ზრდა |
|--------------------------|-------------|
| გენერაცია, სულ           | -3.0%       |
| თბოსადგურები             | -1.6%       |
| ქარის სადგურები          | +8.3%       |
| ჰესები                   | -3.4%       |
| აქედან:                  |             |
| ენგური-ვარდნილი          | -0.6%       |
| სხვა რეგულირებული ჰესები | -12.1%      |
| დერეგულირებული ჰესები    | -0.6%       |




# ელექტროენერგიის მოხმარება

**ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება 2025**  
წელს წლიურად 3.5%-ით გაიზარდა და 14.3 ტვტ.სთ-ს მიაღწია

2025 წლის მოხმარების მატება ძირითადად **პირდაპირი** (+9.2% წ/წ) და **საჯალბო მომხმარებლების** (+3.2% წ/წ) გაზრდილი მოთხოვნის შედეგი იყო. ამასთან, **აფხაზეთის რეგიონის** მოხმარება წლიურად 2.6%-ით შემცირდა.

**2025 წელს საჯალბო მოხმარება** გაიზარდა როგორც ეპ ჯორჯიას (+4.2% წ/წ), ასევე თელმეიკოს (+1.9% წ/წ) მომხმარებლებისთვის.

**გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ**



წყარო: სემევი, ესკო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: **საჯალბო მოხმარებაში** შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმეიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერგიის ჯამური მოხმარება. ეპ ჯორჯია და თელმეიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. სახელის ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით.

შენიშვნა 2: ბიზნესს შეუძლია **პირდაპირ მომხმარებლად** დარეგისტრირდეს, აღარ იყოს თელმეიკოს ან ეპ-ს აბონენტი და პირდაპირ ივაჭროს საბითუმო ბაზარზე.

**ცხრილი 2: ელექტროენერგიის მოხმარების ღირებულება, 2025**

| მომხმარებელი            | წლიური ზრდა |
|-------------------------|-------------|
| მომხმარება, სულ         | +3.5%       |
| აფხაზეთის რეგიონი       | -2.6%       |
| პირდაპირი მომხმარებლები | +9.2%       |
| საჯალბო მომხმარებელი    | +3.2%       |
| აქედან:                 |             |
| ეპ ჯორჯია მიწოდება      | +4.2%       |
| თელმეიკო                | +1.9%       |

წყარო: სემევი, ესკო, გალტ & თაგარტი



# ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა

## ექსპორტი

2025 წელს ელექტროენერგიის **ექსპორტის მოცულობა** წლიურად 51.2%-ით შემცირდა და 0.5 ტვტ.სთ შეადგინა. ექსპორტის სეზონი მაისის თვეში დაიწყო და დამთავრდა ივლისში. მთავარი საექსპორტო ბაზარი კვლავ თურქეთი იყო, ექსპორტის 78.5%-იანი წილით. ექსპორტის 10.3% გავიდა სომხეთში, 9.8% - აზერბაიჯანში და 1.4% რუსეთში. ექსპორტის შემცირება უკავშირდება თურქეთის ბაზარზე ფასების კლების შედეგად ექსპორტიორების მხრიდან შემცირებულ ინტერესს და ადგილობრივი განახლებადი ენერგიის წარმოების კლებას.

**2025 წლის ტოპ-3 ექსპორტიორი:** თურქეთისთვის იყო ქროს ბორდერ ტრეიდიנגი, აჭარა ენერჯი 2007 და საქართველო ურბან ენერჯი. ამასთან, სომხეთის მიმართულებითაც ძირითადი ექსპორტიორი იყო ქროს ბორდერ ტრეიდიנגი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მიმართულებით 52.6 გვტ.სთ-ის ექსპორტი განახორციელა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ, რომლის მიზანიც იყო თურქეთთან ისტორიული ვალის დაფარვა.


**ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები** 2025 წელს განახევრდა (-52.2% წ/წ) და 23.5 მლნ აშშ დოლარი. კლება უკავშირდება როგორც მოცულობის, ისე საექსპორტო ფასის კლებას. ექსპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 4.6 აშშ ცენტი შეადგინა (-2.0%).

## ტრანზიტი

2025 წელს საქართველოს გავლით თურქეთში 0.7 ტვტ.სთ (-38.1% წ/წ) ელექტროენერგიის ტრანზიტი განხორციელდა, რომლის 63.1% აზერბაიჯანიდან მოდიოდა, 34.7% რუსეთიდან, ხოლო დანარჩენი სომხეთიდან.




### გრაფიკი 3: ელექტროენერგიის ექსპორტი (\$ მლნ) და საშუალო ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)




წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 4: ელექტროენერგიის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 5: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ




წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 6: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 7: თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი საქართველოდან, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, ესკო, გალტ & თაგარტი



## იმპორტი


**2025 წელს ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 26.9%-ით გაიზარდა 1.6 ტვტ.სთ-მდე.** იმპორტირებულ ელექტროენერგიის 62.4% რუსეთიდან განხორციელდა, ხოლო ჯამური იმპორტის 46.5% აფხაზეთის მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

ჯამურად, 2025 წელს იმპორტულ ელექტროენერგიაში გადახდილმა თანხამ 47.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საშუალოდ კვტ.სთ-ზე 3.1 აშშ ცენტია. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონისთვის იმპორტი სპეციალურ ფასად, კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტად ხორციელდება, რაც იმპორტის საშუალო ფასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

## სავაჭრო ბალანსი


2025 წელს საქართველო ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორი იყო როგორც რაოდენობაში, ასევე ღირებულებაში. ამ პერიოდში წმინდა იმპორტმა 24.3 მლნ აშშ დოლარი და 1.0 ტვტ.სთ შეადგინა.

**გრაფიკი 8: ელექტროენერგიის იმპორტი დანიშნულების მიხედვით, ტვტ.სთ**




წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

**გრაფიკი 9: ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ**




წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

**გრაფიკი 10: ელექტროენერგიით ვაჭრობა, ტვტ.სთ**



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

**გრაფიკი 11: ელექტროენერგიით ვაჭრობა, მლნ აშშ დოლარი**



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი




# ელექტროენერგიის ფასი საქართველოში

## საბალანსო ელექტროენერგია

**საბალანსო ელექტროენერგიის** საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 4.1%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.8 აშშ ცენტი შეადგინა.


**საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა** წლიურად 7.6%-ით გაიზარდა 4.5 ტვტ.სთ-მდე და ჯამური მიწოდების 28.9% შეადგინა. მოცულობის ზრდა ძირითადად გამოწვეულია იმპორტის და PPA-იანი ელექტროსადგურების გენერაციის ზრდით. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ახალი სადგურების, ხობი-2 და მტკვარი ჰესის ოპერირების დაწყებასთან 2024 წლის მეორე ნახევარში.

გრაფიკი 12: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და გასაყიდი ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემეკი, ესკო, ეროვნული ბანკი, გალტ & ტაგარტი

გრაფიკი 13: საბალანსო ელექტროენერგიის მდგენელები, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & ტაგარტი




## ენერგეტიკული ბირჟა

2025 წელს 129.8 გვტ.სთ, ანუ მთლიანი მიწოდების მხოლოდ 0.9% გაიყიდა ენერგეტიკული ბირჟის პლატფორმით. მოცულობა შედარებით გაზრდილი იყო ზაფხულის თვეებში, თუმცა ვაჭრობა არ შემდგარა სექტემბრის შემდეგ. შესაბამისად, ბაზრის სტატისტიკა არაა საკმარისი ფასზე და მიწოდების ტენდენციებზე კვალიფიციური დასკვნების გასაკეთებლად.

ჩვენი აზრით, დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა გააქტიურდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადავა საათობრივ ანგარიშსწორებაზე. ეს უკანასკნელი დაგეგმილია 2027 წლის ივლისისთვის.

### გრაფიკი 14: დღით ადრე ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციების შეჯამება



წყარო: GENEX, გალატ & თაგარტი



# ბაზრის სიახლეები

## რეგულირებული ტარიფების ცვლილება

2025 წლის ბოლოს სემეკმა, გეგმის მიხედვით, ჩაატარა რეგულირებული საწარმოების მარეგულირებელი აუდიტი, შეიტანა საინვესტიციო გეგმები და რიგ შემთხვევაში დაამტკიცა ახალი ტარიფები. შედეგად, 2026 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირებულ ნაწილში დაფიქსირდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- სემეკმა გადახედა, შეცვალა ან 1 წლით ვადა გაუგრძელა უმეტესი რეგულირებული სადგურების წარმოების ტარიფი. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ ხრამი 1 და ხრამი 2 ჰესებისთვის - ტარიფები გაიზარდა შესაბამისად 4.764 თეთრამდე/კვტ.სთ (2.41 თეთრიდან) და 4.259 თეთრამდე/კვტ.სთ (4.15 თეთრიდან). აღნიშნული სადგურების გამომუშავება 2025 წელს 535.1 გვტ.სთ იყო, რაც ჯამური გენერაციის 4.3%-ია. ჩვენი აზრით, ეს ცვლილება ელექტროენერგიის საბითუმო ფასებზე ნულოვან, ხოლო საცალო ფასებზე ძალიან მცირედ გავლენას მოახდენს.
- დამტკიცდა თელასისა და ენერგო-პრო ჯორჯიას 5-წლიანი საინვესტიციო გეგმები, შესაბამისად 0.4 მლრდ და 1.6 მლრდ ლარის ოდენობით. ჯამურად, სადისტრიბუციო ქსელის გაძლიერებაზე დაიხარჯება 1.96 მლრდ ლარი 2026-30 წლებში.
- დამტკიცდა თელასის გატარების ტარიფები 2026-30 წლებისთვის: დაბალი ძაბვისთვის (220 კვ) ტარიფი 5.6%-ით შემცირდა და 7.419 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა, ხოლო საშუალო ძაბვისთვის (3.3-6-10 კვ) 24.1%-ით გაიზარდა და 4.788 თეთრი/კვტ.სთ გახდა.
- რეგულაციის მიხედვით, ახალი საცალო ტარიფები მოსახლეობისა და ბიზნესისთვის (მსხვილი ბიზნესის გარდა) 2025 წლის ბოლოს უნდა დამტკიცებულიყო მომდევნო 5 წლისთვის. სემეკის გადაწყვეტილებით, 2025 წლის ტარიფების მოქმედება 3 თვით გაგრძელდა, ხოლო ახალი გადაწყვეტილება 1 აპრილისთვისაა მოსალოდნელი. ჩვენი შეფასებით, მოსალოდნელია საცალო ტარიფების მცირედი ზრდა, თუმცა ზრდის ზუსტ მოცულობაზე საუბარი ნაადრევია.




## ნეტო აღრიცხვა

ნეტო აღრიცხვის რეგულაციით მოსარგებლე მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებს შთამბეჭდავი, 161.2 მგვტ-იანი, ზრდა ჰქონდათ 2025 წელს.


2025 წლის ბოლოს, ნეტო აღრიცხვის რეგულაციით სარგებლობდა 2,427 მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური, 305.0 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით. აქედან 226.5 მგვტ დაერთებული იყო ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელზე, ხოლო 78.5 მგვტ თელასის ქსელზე.

ჩვენი შეფასებით, მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებმა 2025 წელს მოხმარების დაახლოებით 2.0% დააკმაყოფილეს, თუმცა მათი გენერაცია არ არის აღრიცხული ჯამურ სტატისტიკაში.

**გრაფიკი 15: მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე (მგვტ) და რაოდენობა**



**გრაფიკი 16: მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრის დამატება (მგვტ)**



წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური არის 0.5 მგვტ-ზე ნაკლები დადგმული სიმძლავრის მქონე ელექტროსადგურები, რომლებიც ხვდება „ნეტო აღრიცხვის“ რეგულაციაში (სპეციალური მხარდაჭერის სქემა, რომელიც გულისხმობს სადგურსა და მომხმარებელს შორის პირდაპირ კავშირს და რეგულაციურ შეღავათებს).



## ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

|                            | 2020          | 2021          | 2022          | 2023          | 2024          | 2025          | 2026F         |
|----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| <b>შიდა მოხმარება, სულ</b> | <b>12,136</b> | <b>13,730</b> | <b>14,165</b> | <b>13,053</b> | <b>13,834</b> | <b>14,317</b> | <b>14,978</b> |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -4.9%         | 13.1%         | 3.2%          | -7.9%         | 6.0%          | 3.5%          | 4.6%          |
| მათ შორის:                 |               |               |               |               |               |               |               |
| აფხაზეთის რეგიონი          | 2,552         | 2,956         | 3,029         | 2,703         | 2,553         | 2,486         | 2,642         |
| წლიური %-ლი ცვლილება       | 23.9%         | 15.8%         | 2.5%          | -10.8%        | -5.6%         | -2.6%         | 6.3%          |
| პირდაპირი მომხმარებლები    | 2,438         | 3,554         | 3,726         | 2,779         | 3,142         | 3,430         | 3,765         |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -14.9%        | 45.8%         | 4.8%          | -25.4%        | 13.1%         | 9.2%          | 9.8%          |
| საჯალლო მოხმარება          | 7,146         | 7,219         | 7,411         | 7,572         | 8,139         | 8,401         | 8,571         |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -8.8%         | 1.0%          | 2.7%          | 2.2%          | 7.5%          | 3.2%          | 2.0%          |
| <b>გენერაცია, სულ</b>      | <b>11,160</b> | <b>12,645</b> | <b>14,247</b> | <b>14,396</b> | <b>14,234</b> | <b>13,838</b> | <b>14,522</b> |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -5.9%         | 13.3%         | 12.7%         | 1.0%          | -1.1%         | -2.8%         | 4.9%          |
| მათ შორის:                 |               |               |               |               |               |               |               |
| თბოსადგურები               | 2,821         | 2,380         | 3,388         | 3,446         | 2,812         | 2,767         | 2,696         |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -0.7%         | -15.6%        | 42.4%         | 1.7%          | -18.4%        | -1.6%         | -2.6%         |
| ქარის სადგურები            | 91            | 83            | 87            | 86            | 78            | 84            | 104           |
| წლიური %-ლი ცვლილება       | 7.3%          | -8.2%         | 5.0%          | -1.6%         | -9.9%         | 8.3%          | 24.2%         |
| ჰიდროსადგურები             | 8,248         | 10,182        | 10,771        | 10,863        | 11,344        | 10,987        | 11,721        |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -7.7%         | 23.4%         | 5.8%          | 0.9%          | 4.4%          | -3.2%         | 6.7%          |
| <b>საგარეო ვაჭრობა</b>     |               |               |               |               |               |               |               |
| იმპორტი                    | 1,610         | 2,006         | 1,533         | 790           | 1,228         | 1,558         | 1,975         |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -1.0%         | 24.6%         | -23.6%        | -48.5%        | 55.4%         | 26.9%         | 26.8%         |
| ექსპორტი                   | 154           | 391           | 971           | 1,468         | 1,047         | 511           | 875           |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -36.8%        | 154.2%        | 148.4%        | 51.2%         | -28.7%        | -51.2%        | 71.2%         |
| სავაჭრო ბალანსი            | -1,456        | -1,615        | -562          | 679           | -180          | -1,046        | -1,100        |
| წლიური %-ლი ცვლილება       | 5.3%          | 10.9%         | -65.2%        | -220.7%       | -126.5%       | 480.8%        | 5.2%          |
| <b>ტრანზიტი</b>            | <b>204</b>    | <b>1,135</b>  | <b>2,933</b>  | <b>3,444</b>  | <b>1,074</b>  | <b>665</b>    |               |
| წლიური %-ლი ცვლილება       | -25.2%        | 457.8%        | 158.3%        | 17.4%         | -68.8%        | -38.1%        |               |

წყარო: სემეკი, საკონფიდენციალო მაცნე, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 2026 წლის მონაცემები აღებულია ეკონომიკის სამინისტროს დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსიდან

## ელექტროენერგიის ფასი, აშშ ცენტი

|                                       | 2020       | 2021       | 2022       | 2023       | 2024       | 2025       | 2026F      |
|---------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| <b>საბალანსო ელექტროენერგიის ფასი</b> | <b>5.0</b> | <b>4.9</b> | <b>5.5</b> | <b>5.3</b> | <b>5.6</b> | <b>5.8</b> | <b>5.9</b> |
| წლიური %-ლი ცვლილება                  | 8.1%       | -5.9%      | 17.0%      | -6.2%      | 5.9%       | 4.1%       | 0.8%       |
| <b>იმპორტის საშუალო ფასი</b>          | <b>4.0</b> | <b>2.4</b> | <b>2.7</b> | <b>0.1</b> | <b>1.9</b> | <b>3.1</b> | <b>3.5</b> |
| წლიური %-ლი ცვლილება                  | -17.0%     | -40.4%     | 14.1%      | -95.1%     | 1328.9%    | 60.4%      | 14.0%      |
| <b>ექსპორტის საშუალო ფასი</b>         | <b>3.8</b> | <b>4.0</b> | <b>8.7</b> | <b>6.5</b> | <b>4.7</b> | <b>4.6</b> | <b>4.8</b> |
| წლიური %-ლი ცვლილება                  | 8.1%       | -5.9%      | 17.0%      | -6.2%      | -27.9%     | -2.0%      | 3.4%       |

წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან

## გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge